# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/31 " 24 " მარტი 2017 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**სიღნაღის რაიონული სასამართლოს შენობის დემონტაჟის განხორციელებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ და მოითხოვა სასამართლოს შენობის რეკონსტრუქცია სამუშაო ოთახების დამატებისა და სხვა საჭიროებების გათვალისწინებით.

სასამართლოს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ დაგეგმილი ჩასატარებელი სამუშაოების სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭიროა სასამართლოს შენობაზე ამჟამად არსებული ორსართულიანი მიშენების (განაშენიანების ფართი 13,79 კვ. მ, სულ ფართი 24 კვ. მ) დემონტაჟი, ვინაიდან შენობის კონსტრუქცია არ არის მდგრადი, რასაც ადასტურებს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 17 თებერვლის დასკვნა №000830417. დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია ახალი სამსართულიანი მიშენების მშენებლობა თითოეული სართულის ფართით 45-50 კვ. მ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს სიღნაღის რაიონული სასამართლოს შენობის ზემოაღნიშნული ფართის დემონტაჟი.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი